# საქართველოს კანონი

## საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 185-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მსუბუქი ავტომობილისათვის (გარდა სპორტული დანიშნულების ავტომობილისა) და მოტოციკლისათვის (მოპედის ჩათვლით) – მათი წლოვანებითა და ძრავის მოცულობით;“.

2. 188-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის ცხრილის მე-4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | მსუბუქი ავტომობილი (გარდა სპორტული დანიშნულების ავტომობილისა) (დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით, ხოლო იმპორტის შემთხვევაში – საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით), ძრავის მოცულობის 1 სმ$^3$ | | | |
| | 8703 | ა) 1 წლამდე | 1 სმ$^3$ | 1.5 |
| | | ბ) 1 წლის | 1 სმ$^3$ | 1.5 |
| | | გ) 2 წლის | 1 სმ$^3$ | 1.5 |
| | | დ) 3 წლის | 1 სმ$^3$ | 1.4 |
| | | ე) 4 წლის | 1 სმ$^3$ | 1.2 |
| | | ვ) 5 წლის | 1 სმ$^3$ | 1.0 |
| | | ზ) 6 წლის | 1 სმ$^3$ | 0.8 |
| | | თ) 7 წლის | 1 სმ$^3$ | 0.8 |
| | | ი) 8 წლის | 1 სმ$^3$ | 0.8 |
| | | კ) 9 წლის | 1 სმ$^3$ | 0.9 |
| | | ლ) 10 წლის | 1 სმ$^3$ | 1.1 |
| | | მ) 11 წლის | 1 სმ$^3$ | 1.3 |
| | | ნ) 12 წლის | 1 სმ$^3$ | 1.5 |
| | | ო) 13 წლის | 1 სმ$^3$ | 1.8 |
| | | პ) 14 წლის | 1 სმ$^3$ | 2.1 |
| | | ჟ) 14 წელზე მეტის | 1 სმ$^3$ | 2.4 |

“;

ბ) მე-8 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 ნაწილი:

„9. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული სპორტული დანიშნულების მსუბუქი ავტომობილისათვის აქციზის განაკვეთია 100 ლარი.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი** **სალომე ზურაბიშვილი**

**თბილისი,**

**2 ოქტომბერი 2019 წ.**

**N5075-Iს**